

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>თანამედროვე ალგებრა (ნახევარჯგუფები)</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>მათემატიკის დოქტორი</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამა „თანამედროვე ალგებრა (ნახევარჯგუფები)“ მოიცავს 180 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 45 კრედიტი, არჩევითი კურსები 15 კრედიტი. სამეცნიერო კომპონენტი მოიცავს 120 კრედიტს.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>სადოქტორო პროგრამის ძირითადი მიზანია გაერთიანებათა სრული X – ნახევარმესერთა კლასებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფების ისეთი თვისებების შესწავლა, რომლებიც შეინახებიან მათი იზომორფიზმების დროს (ე.ი. ნახევარჯგუფის აბსტრაქტული თვისებები). ასეთ შემთხვევაში ნახევარჯგუფებში გამოკვლევის ობიექტები იქნებიან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მოცემული ნახევარჯგუფის ქვენახევარჯგუფთა მარჯვენა ერთეულები; 2. ნახევარჯგუფის იდეალტენტური ელემენტები; 3. ნახევარჯგუფის მაქსიმალური ქვეჯგუფები; 4. ნახევარჯგუფის რეგულარული ელემენტები; 5. ნახევარჯგუფის გარე, შიგა და დაუყვანი ელემენტები; 6. ნახევარჯგუფის დაუყვან წარმომქმნელთა სისტემები; 7. ნახევარჯგუფის თანაფარდობებისა და განსაზღვრელი თანაფარდობები; 8. მოცემული $\Sigma_n(X, m)$ ნახევარმესერთა კლასით განსაზღვრული $\Xi(D)$ ნახევარჯგუფთა კლასის აბსტრაქტული მახასიათებლის პოვნა.
<p>სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)</p>	<p>სადოქტორო პროგრამის ამოწურვის შემდეგ, კურსდამთავრებულს ექნება ნახევარჯგუფთა თეორიის, ჯგუფთა თეორიის, მესერთა თეორიის, გრაფთა თეორიის მიმართულებათა უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა; კვლევის თანამედროვე ალგებრული მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა; კლასიკური ალგებრული მიდგომებისა და მეთოდების ანალიზისა და ახლებურად გააზრების უნარი.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში</p>

	სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი იაშა დიასამიძე E-mail: diasamidze_ya@mail.ru ტელ: 593 90 89 64